<u>პროექტი</u>

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

ქ. ბათუმი „-----“ ---------- 2026 წელი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 24 ნოემბრის №5/62622 წერილის საფუძველზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სახელმწიფოს უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ახალსოფელში მდებარე 7824,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები: №1 საერთო ფართი: 5980,91 კვ.მ და №2 საერთო ფართი: 11,17 კვ.მ და №3 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 22.29.01.1025)

2. ეთხოვოს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტო“-ს უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში სახელმწიფოს საკუთრებაში რეგისტრაცია.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, რა დროსაც მხარეს წარმოადგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ივანე მაისურაძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2025 წლის 24 ნოემბერს შემოსულია სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს №5/62622 წერილი, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ სააგენტოში წარდგენილ კორესპონდენციასთან დაკავშირებით (№2-06/16135, 18.11..2025წ.), რომელიც ეხება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ახალსოფელში მდებარე მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 22.29.01.253), დაყოფას და ნაწილის 7 823,0 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემას, შემდგომში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს №5/62622 წერილს თან ერთვის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის №2-06/16135 წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ დეპარტამენტის მიერ დაგეგმილ საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის ბათუმი-სარფის მშენებლობის პროექტის ფარგლებში მოქცეულია 22.29.01.253 საკადასტრო კოდით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილი.

ამასთან, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს №5/62622 მომართვიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ განახორციელა რიგი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები, კერძოდ: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ საჯარო რეესტრში წარდგენილი განცხადების (განცხადების რეგისტრაციის #882026086213, 04.02.2026წ) შესაბამისად, განხორციელდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ახალსოფელში მდებარე, 20000 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 22.29.01.253) დაყოფა ორ საკადასტრო ერთეულად: 12160.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთად (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 22.29.01.1024) და 7824,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთად (მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები: №1 საერთო ფართით - 5980,91 კვ.მ და №2 საერთო ფართით - 11,17კვ.მ და №3 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 22.29.01.1025).

ამასთან, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ მიმართა ა(ა)იპ ,,ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური“-ს და მოსთხოვა 22.29.01.1025 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ორგანიზაციის უზუფრუქტის უფლების შეწყვეტა, რაზედაც ა(ა)იპ ,,ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური“-მ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში გადმოაგზავნა (უზუფრუქტის) უფლების შეწყვეტის თაობაზე თანხმობის წერილი (№18-1426071529, 12.03.2026წ).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ახალსოფელში მდებარე 7824,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების: №1 საერთო ფართი: 5980,91 კვ.მ და

№2 საერთო ფართი: 11,17კვ.მ და №3 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 22.29.01.1025) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემა, მისი შემდგომში საქართველოს საავტომობილო გზების დეპატრამენტისათვის გადაცემის მიზნით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელ ახალსოფელში მდებარე 7824,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების: №1 საერთო ფართი: 5980,91 კვ.მ და №2 საერთო ფართი: 11,17კვ.მ და №3 (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 22.29.01.1025) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემა, მისი შემდგომში საქართველოს საავტომობილო გზების დეპატრამენტისათვის გადაცემის მიზნით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“; საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების
მართვის სამსახურის უფროსი **დავით კოპინაძე**